



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49240547

თარიღი:23/02/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 თებერვლის №48-48-2405222 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის უნდა მიიღოს გრანტი 1335605.47 (მილიონ სამას ოცდათხუთმეტი ათას ექვსას ხუთი ევრო და ორმოცდაშვიდი ცენტი) ევროს ოდენობით, რაც შეადგენს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 90%-ს. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 1484006.11 ევრო. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართული იქნება კიდევ 5 ორგანიზაცია: - ასოციაცია „ტექნოპოლ გალაცია“ (რუმინეთი), - ქალაქ უნგენის მერია (მოლდოვა), - ქალაქ რიზეს მუნიციპალიტეტი (თურქეთი), - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“, - მდგრადი განვითარების რეგიონული ცენტრი, მოლდოვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, როგორც პროექტის ერთ-ერთი პარტნიორის, ბიუჯეტი აღნიშნულ პროექტში შეადგენს 544.724,16 ევროს, აქედან გრანტია - 490 251.74 ევრო (პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 90%), ხოლო თანადაფინანსების თანხა შეადგენს 54472.42 ევროს (პროექტში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 10%).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის, შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ევროკავშირის (INTERREG VI-B) NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“ (Smart4Rural) განხორციელებისათვის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

